ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-6
2019 წლის 21 მაისი
ქ. თბილისი

ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-7 პუნქტებისა და მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესი“;

ბ) „ციფრული ფორმები“ (დანართი №1);

გ) „კონსოლიდირებული ციფრული ფორმები“ (დანართი №2);

დ) „სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების ფორმა“ (დანართი №3).

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის №ნ-15 ბრძანება „სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**

ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის ელექტრონული ფორმით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროებისა და დაინტერესებულ პირთა მიერ ამ ინფორმაციის გაცნობის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანგარიშგების ვებგვერდი – ვებგვერდი, რომელზეც ამ წესის შესაბამისად ხდება ანგარიშგების წარდგენა და დადგენილი წესით გამოქვეყნება;

ბ) სუბიექტის გვერდი – ვებგვერდზე სუბიექტის ინდივიდუალური გვერდი, რომელზეც საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით აისახება სუბიექტის წარდგენილი ანგარიშგებები და აუდიტორული დასკვნები, აგრეთვე სხვა ინფორმაცია სუბიექტის შესახებ ამ წესის შესაბამისად;

გ) სუბიექტთან კავშირი - სუბიექტის მომხმარებლისთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ქონა;

დ) ჯგუფის შექმნის თარიღი – თარიღი, რომლიდანაც სუბიექტი წარმოადგენს მშობელ საწარმოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) ფინანსური ინსტიტუტი – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 54-ე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული იურიდიული პირი;

ვ) არაფინანსური ინსტიტუტი – სუბიექტი, რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს;

ზ) ემიტენტის კოდი – საფონდო ბირჟის წესების მიხედვით განსაზღვრული ემიტენტის უნიკალური კოდი;

თ) საკრედიტო საინფორმაციო ბიურო – „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ^{5}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) შესაბამისად.

მუხლი 3. ვადების განსაზღვრა

1. ამ წესით დადგენილი ვადის ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედების განხორციელების მომდევნო სამუშაო დღიდან.

2. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება თვეებით, მთავრდება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში.

3. მოქმედება, რომლის განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, შეიძლება განხორციელდეს ამ ვადის ბოლო სამუშაო დღის დამთავრებამდე, ხოლო თუ მოქმედება ხორციელდება ელექტრონული ფორმით – ამ ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

4. თუ მოქმედების განხორციელების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მოქმედების განხორციელების ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის დამთავრებამდე, ხოლო თუ მოქმედება ხორციელდება ელექტრონული ფორმით – მოქმედების განხორციელების ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის 24 საათამდე.

თავი II

ანგარიშგების ვებგვერდი

მუხლი 4. ანგარიშგების ვებგვერდის მართვა

1. სუბიექტი ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურს (შემდომ – სამსახური) წარუდგენს ელექტრონული ფორმით, ანგარიშგების ვებგვერდის (შემდგომ – ვებგვერდი) გამოყენებით (www.reportal.ge).

2. ვებგვერდს მართავს სამსახური. სამსახური იყენებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასა და მართვის ავტომატურ საშუალებებს.

მუხლი 5. სუბიექტის მომხმარებელი

1. სუბიექტს შეიძლება ჰყავდეს შემდეგი ტიპის მომხარებლები:

ა) ადმინისტრატორი;

ბ) რედაქტორი;

გ) ოპერატორი;

დ) დამთვალიერებელი.

2. ადმინისტრატორს აქვს სუბიექტის გვერდის მართვასთან დაკავშირებული ყველა უფლებამოსილება, მათ შორის, ანგარიშგების ელექტრონულად შევსების, დოკუმენტის ატვირთვის, აუდიტორის დამატების, ანგარიშგების სამსახურისთვის გადაგზავნის, ასევე, სხვა ტიპის მომხმარებლების დამატების უფლება.

3. რედაქტორს აქვს სუბიექტის გვერდის მართვის, მათ შორის, ანგარიშგების ელექტრონულად შევსების, დოკუმენტის ატვირთვის, აუდიტორის დამატებისა და ანგარიშგების სამსახურისთვის გადაგზავნის უფლება.

4. ოპერატორს აქვს ანგარიშგების ელექტრონულად შევსებისა და დოკუმენტის ატვირთვის უფლება.

5. დამთვალიერებელს აქვს სუბიექტის გვერდზე არსებული მონაცემების დათვალიერების უფლება.

მუხლი 6. მომხმარებლის რეგისტრაცია

1. ანგარიშგების წარსადგენად სუბიექტმა ვებგვერდზე პირველადი ავტორიზაცია უნდა გაიაროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდის (eservices.rs.ge) მომხარებლისა და პაროლის საშუალებით, რასაც სუბიექტის ადმინისტრატორის რეგისტრაცია ეწოდება.

2. სუბიექტს ერთსა და იმავე პერიოდში შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ადმინისტრატორი. სსიპ – შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდის პარამეტრებით პირველადი ავტორიზაციის გავლისა და ადმინისტრატორის რეგისტრაციის შემდეგ იმავე მონაცემებით ავტორიზაციის გავლა შეუძლებელია, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. პირველადი ავტორიზაციის გავლის შემდეგ ადმინისტრატორი ავსებს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირადი ნომერი;

ბ) სახელი, გვარი;

გ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

დ) მობილური ტელეფონის ნომერი;

ე) პაროლი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, გარდა პირადი ნომრისა, არ ივსება, თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მომხმარებელთა ბაზაში.

5. სუბიექტთან კავშირის გასააქტიურებელი ბმული იგზავნება პირის ელექტრონული ფოსტის მისამართზე. აღნიშნულ ბმულზე გადასვლით დასტურდება სუბიექტთან კავშირი და პირი ხდება სუბიექტის ადმინისტრატორი.

6. სუბიექტის რედაქტორს, ოპერატორსა და დამთვალიერებელს არეგისტრირებს ადმინისტრატორი სუბიექტის გვერდზე მომხმარებლის ჩანართში მომხმარებლის დამატების ღილაკზე დაჭერით და ავსებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებს.

7. თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მომხმარებელთა ბაზაში, ადმინისტრატორი სხვა მომხმარებლის დასამატებლად ავსებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებს, რის შემდეგაც იღებს შეტყობინებას, რომ აღნიშნული მონაცემები რეგისტრირებულია მომხმარებელთა ბაზაში და დაფიქსირებულია ელექტრონული ფოსტა და მობილური ტელეფონის ნომერი.

8. მომხარებელთა ბაზაში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის ახლით შეცვლა შესაძლებელია აქტიური პაროლის შეყვანის გზით.

9. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომხმარებელმა, გარდა ადმინისტრატორისა,

მითითებულ ბმულზე გადასვლისას უნდა გაიაროს ვერიფიკაცია თავისი პირადი ნომრის მითითებით. თუ პირის მიერ მითითებული პირადი ნომერი დაემთხვევა ადმინისტრატორის მიერ მითითებულ პირად ნომერს, გააქტიურდება პირის კავშირი სუბიექტთან და მას მიენიჭება მომხმარებლის სტატუსი.

10. ადმინისტრატორს შეუძლია მომხმარებლების მართვის პანელიდან სუბიექტსა და მომხმარებელს შორის არსებული კავშირის გაუქმება, რის შესახებაც ინფორმაცია მომხმარებელს ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

11. ადმინისტრატორს ნებისმიერ დროს შეუძლია მომხმარებელს შეუცვალოს სტატუსი და მიანიჭოს მომხმარებლის ახალი ტიპი, რის შესახებაც ინფორმაცია მომხმარებელს ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 7. ადმინისტრატორის შეცვლა

1. ადმინისტრატორი უფლებამოსილია გააუქმოს თავისი კავშირი სუბიექტთან. ამ შემთხვევაში ახალი ადმინისტრატორის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.

2. ადმინისტრატორის კავშირი სუბიექტთან ავტომატურად უქმდება, თუ ადმინისტრატორი სუბიექტის გვერდის სხვა მომხმარებელს მიანიჭებს ადმინისტრატორის როლს.

3. თუ ადმინისტრატორის შეცვლა ვერ ხორციელდება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ადმინისტრატორის სუბიექტთან კავშირის გაუქმება შესაძლებელია ვებგვერდის ადმინისტრირების პანელიდან, სამსახურის თანამშრომლის მიერ, სუბიექტის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურისთვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ადმინისტრატორის სუბიექტთან კავშირის შემდეგ პირი დარეგისტრირდება ადმინისტრატორად ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.

თავი III

ანგარიშგებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენა

მუხლი 8. ანგარიშგების დამატება

1. უფლებამოსილი მომხმარებელი ანგარიშგების წარდგენას იწყებს სუბიექტის გვერდზე ანგარიშგების ჩანართში ანგარიშგების დამატების ღილაკზე დაჭერით.

2. ანგარიშგების დამატების ღილაკზე დაჭერის შემდეგ ივსება ინფორმაცია სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდის, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი საწარმოს, საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (შემდგომ – სდპ) სტატუსისა და სახის შესახებ, ჯგუფის შექმნის თარიღი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე ინფორმაცია, წარმოადგენს თუ არა სუბიექტი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს და მოიცავს თუ არა მისი საქმიანობა წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას.

3. სუბიექტი მიუთითებს, წარმოადგენს თუ არა მშობელ საწარმოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. სუბიექტის სდპ-ის სტატუსის შესახებ ინფორმაცია და სდპ-ის სახე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აისახება ავტომატურად, აგრეთვე ინფორმაცია, წარმოადგენს თუ არა კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იურიდიულ პირს, აისახება ავტომატურად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საფონდო ბირჟების სავაჭრო სისტემაში არსებული მონაცემების საფუძველზე.

5. სუბიექტი უფლებამოსილია შეცვალოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ავტომატურად მითითებული მონაცემები, თუ ანგარიშგების წარდგენის დროისთვის ეს მონაცემები არასწორია.

6. სუბიექტი მიუთითებს, მოიცავს თუ არა მისი საქმიანობა წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას.

მუხლი 9. სუბიექტისა და ჯგუფის ზომითი კატეგორიის განსაზღვრა

1. სუბიექტი ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში მითითებული პერიოდებისთვის ავსებს შემდეგ ველებს:

ა) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების ჯამური ღირებულება;

ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი;

გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა.

2. თუ სუბიექტი წარმოადგენს მშობელ საწარმოს, სუბიექტმა საკუთარი ზომითი კატეგორიის განსაზღვრის შემდგომ, დამატებით, უნდა განსაზღვროს ჯგუფის ზომითი კატეგორია, რისთვისაც მან უნდა მიუთითოს თავისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ჯგუფის მონაცემები ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები უნდა შეივსოს ერთეულ ლარში.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შევსების შედეგად გამოთვლის ღილაკზე დაჭერით განისაზღვრება სუბიექტის/ჯგუფის ზომითი კატეგორია, ასევე, ინფორმაცია შესაბამისი კატეგორიის სუბიექტისთვის/ჯგუფისთვის კანონით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების, აუდიტის ჩატარების ვალდებულებისა და ანგარიშგების წარდგენის ვადის შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სუბიექტი/ჯგუფი უფლებამოსილია, კანონის მე-3 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტების შესაბამისად, გამოიყენოს უფრო მაღალი ზომითი კატეგორიის სუბიექტისათვის დადგენილი სტანდარტი.

მუხლი 10. წარსადგენი ინფორმაციის ჩანართები

ზომითი კატეგორიის განსაზღვრის შემდეგ ავტომატურად გენერირდება წარსადგენი ინფორმაციის ჩანართები, რომლის თითოეული ველი სუბიექტმა სრულად უნდა შეავსოს ანგარიშგების სამსახურში გადაგზავნამდე.

მუხლი 11. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

1. სუბიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანართში აისახება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახე/სახეები და („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით;

გ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მშობელი საწარმოს რეგისტრაციის ქვეყანა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საფირმო სახელწოდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყანა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საფირმო სახელწოდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი და ვებგვერდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მეოთხე კატეგორიის საწარმო სუბიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, დამატებით, უთითებს სუბიექტის ანგარიშგების დაინტერესებული პირისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს, პირად ნომერსა და მობილური ტელეფონის ნომერს, ასევე, თანხმობის შემთხვევაში, მონიშნავს მის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის გადაცემის ღილაკს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, ასევე, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მშობელი საწარმო და შვილობილი საწარმო/საწარმოები რეგისტრირებულია საქართველოში, სუბიექტის მიერ მათი საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით, მათი საფირმო სახელწოდება აისახება ავტომატურად, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზიდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრებში დაცული მონაცემების საფუძველზე, სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახე/სახეები და („NACE“) კოდი აისახება ავტომატურად, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე. თუ ასახული ინფორმაცია განსხვავდება სუბიექტის მიერ წარსადგენ, ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული საქმიანობის ძირითადი სახისგან/სახეებისგან, იგი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდზე შეცვალოს მითითებული საქმიანობის ძირითადი სახე/სახეები.

მუხლი 12. აუდიტორის დამატება

1. აუდიტორის დამატების ჩანართში სუბიექტმა უნდა მიუთითოს ანგარიშგებების, ხოლო ჯგუფის შემთხვევაში, ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორ(ებ)ის/ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტაციო ნომერი, რის შედეგად ავტომატურად აისახება აუდიტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე.

2. თუ აუდიტი ჩატარდა გარიგების პარტნიორის მიერ, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, ავტომატურად აისახება იმ აუდიტორული ფირმის/ფირმების დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელშიც დასაქმებულია გარიგების პარტნიორი. თუ ასეთი აუდიტორული ფირმების რაოდენობა ერთზე მეტია, სუბიექტი მიუთითებს იმ აუდიტორულ ფირმას, რომლის სახელითაც მოქმედებდა გარიგების პარტნიორი აუდიტის ჩატარებისას.

3. თუ ანგარიშგების წარდგენისას გარიგების პარტნიორი აღარ არის დასაქმებული იმ აუდიტორულ ფირმაში, რომლის სახელითაც მოქმედებდა აუდიტის ჩატარებისას, სუბიექტი, აუდიტორულ ფირმასთან შეთანხმებით, მიუთითებს ამ აუდიტორული ფირმის სხვა უფლებამოსილ გარიგების პარტნიორს.

4. აუდიტორის დამატების ჩანართში სუბიექტმა უნდა მიუთითოს მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების, ხოლო ჯგუფის შემთხვევაში, ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტის ჩატარებისთვის შეთანხმებული თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში.

5. აუდიტორის დამატების ჩანართის შევსება სავალდებულოა, თუ სუბიექტს/ჯგუფს ჩატარებული აქვს ანგარიშგების აუდიტი.

მუხლი 13. ციფრული ფორმები

1. ციფრული ფორმების ჩანართში სუბიექტი/ჯგუფი ვალდებულია მიუთითოს მის მიერ გამოყენებული სტანდარტი, ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად.

2. ციფრული ფორმების ჩანართში სუბიექტი ვალდებულია აირჩიოს მისთვის შესაფერისი შემდეგი ციფრული ფორმებიდან ერთ-ერთი (დანართი №1):

ა) ფინანსური ინსტიტუტების ციფრული ფორმები (გარდა მზღვეველებისა);

ბ) მზღვეველების ციფრული ფორმები;

გ) არაფინანსური ინსტიტუტების ციფრული ფორმები;

დ) მესამე კატეგორიის საწარმოს გამარტივებული ციფრული ფორმები;

ე) მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგების ფორმები.

3. თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, იგი

ვალდებულია აირჩიოს მისთვის შესაფერისი კონსოლიდირებული ციფრული ფორმებიდან ერთ-ერთი (დანართი №2):

ა) ფინანსური ინსტიტუტების კონსოლიდირებული ციფრული ფორმები (გარდა მზღვეველებისა);

ბ) მზღვეველების კონსოლიდირებული ციფრული ფორმები;

გ) არაფინანსური ინსტიტუტების კონსოლიდირებული ციფრული ფორმები;

დ) მესამე კატეგორიის ჯგუფის კონსოლიდირებული ციფრული ფორმები.

4. ელექტრონულად შესავსები ციფრული ფორმების ძირითადი კომპონენტებია (დანართი №1):

ა) ფინანსური მდგომარეობა (ფორმა №1);

ბ) საქმიანობის შედეგები (ფორმა №2);

გ) ფულადი სახსრების მოძრაობა (ფორმა №3);

დ) კაპიტალის მოძრაობა (ფორმა №4);

ე) განმარტებითი შენიშვნები (ფორმა №5);

ვ) შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ფორმა №6).

5. ელექტრონულად შესავსები კონსოლიდირებული ციფრული ფორმების ძირითადი კომპონენტებია (დანართი №2):

ა) კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა (ფორმა №1);

ბ) კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები (ფორმა №2);

გ) კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა (ფორმა №3);

დ) კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობა (ფორმა №4).

6. სუბიექტის/ჯგუფის მიერ ციფრული ფორმის არჩევის შემდეგ, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ფორმისა და სუბიექტის/ჯგუფის ზომითი კატეგორიის გათვალისწინებით, ავტომატურად განისაზღვრება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული კომპონენტებიდან სუბიექტის/ჯგუფის მიერ სავალდებულოდ შესავსები კომპონენტები, გარდა ამ წესის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული კომპონენტების ფორმები მტკიცდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თითოეული ციფრული ფორმისთვის დამოუკიდებლად.

8. თუ სდპ და პირველი კატეგორიის საწარმო ამ წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მონიშნავს, რომ მისი საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ავტომატურად განისაზღვრება მის მიერ სავალდებულოდ შესავსები სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების ელექტრონული ფორმა (დანართი №3).

მუხლი 14. ციფრული ფორმების შევსება

1. სუბიექტი ციფრული ფორმების შევსებამდე მიუთითებს, ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ თუ ათასეულ ლარებში.

2. სუბიექტი ვალდებულია ელექტრონულად სრულად შეავსოს ამ წესის მე-13 მუხლის შესაბამისად, მის მიერ არჩეული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების, ასევე, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგების ფორმის, ყველა არანულოვანი მუხლი, ხოლო თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, იგი ვალდებულია ასევე სრულად შეავსოს

მის მიერ არჩეული კონსოლიდირებული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების ყველა არანულოვანი მუხლი კანონის მე-3 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებით სუბიექტისთვის დადგენილი/არჩეული სტანდარტისა და ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად ატვირთული ფინანსური/კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ანგარიშგების სამუშაო დოკუმენტაციის თანახმად.

3. მესამე კატეგორიის საწარმოსთვის ფულადი სახსრების მოძრაობის ციფრული ფორმის შევსება სავალდებულო არ არის.

4. ციფრული ფორმების შევსებისას მეოთხე კატეგორიის საწარმო უფლებამოსილია გამოიყენოს „მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის №ნ-10 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი გამონაკლისები.

5. უცხოურ ვალუტაში აღრიცხული თანხები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტაში კანონის მე-3 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებით სუბიექტისთვის დადგენილი/არჩეული სტანდარტის შესაბამისად.

6. ამ წესის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმაში ივსება ინფორმაცია სახელმწიფოსთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილ იმ თანხების თაობაზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში გადახდის თითოეული სახეობისათვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 000 ლარს აღემატება.

მუხლი 15. ანგარიშგებების ატვირთვა

1. სუბიექტი, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოსი, ვალდებულია ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს მისთვის კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში, ხოლო ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში.

2. თუ სუბიექტი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, რომელიც არ არის სდპ ან კანონმდებლობით არ ევალება აუდიტის ჩატარება ან რომლის საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს/სუბიექტი ნებაყოფლობით არ ირჩევს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) გამოყენებას, იგი უფლებამოსილია ატვირთოს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგების შემოკლებული ვერსია, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგებებს და განმარტებითი შენიშვნებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანაგრიშგებებზე ხელმოწერის შესრულება/შტამპის დასმა ხორციელდება ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. სუბიექტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშგებებზე შეასრულოს პირადი ხელმოწერა.

5. სუბიექტმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები უნდა ატვირთოს „pdf” ფორმატში, რომელშიც შესაძლებელია ტექსტის ძიება, მონიშვნა და კოპირება, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ის გვერდები, რომლებზეც მოცემულია პირადი ხელმოწერები, დამატებით, ამავე დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე დოკუმენტში, შესაბამის ხელმოუწერელ გვერდებამდე ან გვერდების შემდგომ, დასკანერებულ „pdf” ფორმატში.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანგარიშგებები სუბიექტმა უნდა წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ წარსადგენი ანგარიშგებები/აუდიტირებული ანგარიშგებები შედგენილია უცხო ენაზე, სუბიექტმა უნდა ატვირთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი და უცხო ენაზე შედგენილი ანგარიშგება.

7. სუბიექტი უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშგებებთან ერთად წარადგინოს სანოტარო წესით დამოწმებული ანგარიშგებების უცხო ენაზე/ენებზე თარგმანი.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი სუბიექტმა

უნდა ატვირთოს დასკანერებულ „pdf" ფორმატში და ასევე, ამავე დოკუმენტში იდენტური თარგმანი წარმოადგინოს „pdf" ფორმატში, რომელშიც შესაძლებელია ტექსტის ძიება, მონიშვნა და კოპირება.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მაქსიმალური დასაშვები მოცულობა არის 50 მეგაბაიტი.

მუხლი 16. აღმოჩენილი შეუსაბამობები

1. აღმოჩენილი შეუსაბამობების ჩანართში გაგზავნის ღილაკზე დაჭერის შემდეგ ავტომატურად ერთიანად აისახება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სუბიექტის მიერ მითითებულ მონაცემებსა და კანონის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობები;

ბ) ელექტრონულად შევსებული ფორმების მუხლებში არსებული შეუსაბამობები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სუბიექტს არ აუტვირთავს ანგარიშგება, იგი უფლებამოსილია განაგრძოს ანგარიშგების წარდგენის პროცესი. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს არ შეუვსია ამ წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, სუბიექტი ვერ შეძლებს ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის პროცესის დასრულებას მითითებული შეუსაბამობის/შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

3. სუბიექტის მიერ გადასაგზავნ ღილაკზე დაჭერით ანგარიშგებები სამსახურისთვის წარდგენილად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სუბიექტი წარადგენს აუდიტირებულ ანგარიშგებას/ანგარიშგებებს.

4. ვებგვერდზე მიეთითება ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის თარიღი.

5. აღმოჩენილი შეუსაბამობების ჩანართში მოცემული ხარვეზები სრულად არ ასახავს კანონითა და ამ წესის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას. სუბიექტის მიერ წარდგენილ ანგარიშგებას შესაძლოა ჰქონდეს დამატებითი შეუსაბამობები, რომლებზეც პასუხისმგებლობა სუბიექტს ეკისრება.

მუხლი 17. აუდიტორის მიერ ინფორმაციის დადასტურება

1. თუ სუბიექტი წარადგენს აუდიტირებულ ანგარიშგებას, ხოლო ჯგუფის შემთხვევაში, აუდიტირებულ ინდივიდუალურ ან/და კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაამატა აუდიტორი, მის მიერ გადასაგზავნ ღილაკზე დაჭერით აუდიტორს ელექტრონული ფოსტის მისამართზე ავტომატურად ეგზავნება შეტყობინება და ბმული. ვებგვერდზე მიეთითება ამ პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების აუდიტორისთვის გადაგზავნის თარიღი.

2. აუდიტორი ვალდებულია ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებულ ბმულზე გადასვლით გაიაროს ერთჯერადი ავტორიზაცია ანგარიშგების პორტალზე პირადი ნომრისა და პაროლის მითითებით. ერთჯერადი ავტორიზაციის გავლის შემდეგ აუდიტორი უფლებამოსილია, მართოს ანგარიშგების ვებგვერდზე თავისი გვერდი ერთი ან ერთზე მეტი სუბიექტისთვის.

3. აუდიტორი ვალდებულია სუბიექტის მიერ ანგარიშგების აუდიტორისთვის გადაგზავნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან ხარვეზი დაუდგინოს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სუბიექტის მიერ ამ წესის მე-14 მუხლის შესაბამისად შევსებული ციფრული ფორმები ან/და კონსოლიდირებული ციფრული ფორმები არსებითად შეესაბამება სუბიექტის მიერ აუდიტორისათვის მიწოდებულ სამუშაო დოკუმენტაციასა და აუდიტორის მიერ ხელმოწერილი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ან/და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ფორმებს;

ბ) სუბიექტის მიერ ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად ატვირთული, ხელმოწერილი აუდიტირებული ანგარიშგებები ან/და აუდიტირებული კონსოლიდირებული ანგარიშგებები შეესაბამება აუდიტორის მიერ ხელმოწერილ ანგარიშგებებს ან/და კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს.

4. აუდიტორი მიუთითებს ანგარიშგებების ან/და კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტორული დასკვნის თარიღს.

5. თუ აუდიტორი ხარვეზს დაუდგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას, იგი

ვალდებულია შესაბამის ველში აღწეროს შეუსაბამობის არსი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება ვებგვერდზე და სუბიექტს გაეგზავნება შეტყობინება ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.

6. აუდიტორის მიერ შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, სუბიექტი ვალდებულია აღმოფხვრას დადგენილი შეუსაბამობა. ამ შემთხვევაში აუდიტორს თავიდან ეგზავნება ელექტრონული ფოსტით შეტყობინება სუბიექტის მიერ ანგარიშგების აუდიტორისთვის გადაგზავნის თაობაზე. აუდიტორი ვალდებულია დაადასტუროს ან ხარვეზი დაუდგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას ამავე პუნქტით დადგენილი წესითა და ვადაში. ვებგვერდზე მიეთითება ამ პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების აუდიტორისთვის ხელახლა გადაგზავნის თარიღი.

7. აუდიტორი ვალდებულია მიუთითოს მის მიერ ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგების ან/და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ დასკვნაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრებებიდან ერთ-ერთი:

ა) არამოდიფიცირებული მოსაზრება;

ბ) პირობითი მოსაზრება;

გ) უარყოფითი მოსაზრება;

დ) მოსაზრების გამოთქმაზე უარი;

ე) არამოდიფიცირებული მოსაზრება მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცით;

ვ) არამოდიფიცირებული მოსაზრება სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცით.

8. აუდიტორის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში ანგარიშგებები იგზავნება სამსახურში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება ვებგვერდზე და სუბიექტს გაეგზავნება შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

მუხლი 18. სუბიექტის შესახებ ავტომატურად მიღებული ინფორმაცია

1. ამ წესის მე-8-მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, სუბიექტის შესახებ ავტომატურად აისახება და ვებგვერდზე ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია:

ა) საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;

ბ) სამართლებრივი ფორმა;

გ) საფირმო სახელწოდება/სახელწოდება;

დ) რეგისტრაციის თარიღი;

ე) მარეგისტრირებელი ორგანო;

ვ) იურიდიული მისამართი;

ზ) მმართველობის ორგანო;

თ) ინფორმაცია ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის/გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ი) ინფორმაცია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ;

კ) ინფორმაცია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ;

ლ) ინფორმაცია მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლების შესახებ;

მ) ინფორმაცია უძრავ ნივთებზე იპოთეკის უფლების შესახებ;

ნ) ემიტენტის კოდი, თუ სუბიექტი წარმოადგენს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციას სამსახური იღებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზიდან, უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრებში დაცული მონაცემების საფუძველზე, სამსახურსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაციას სამსახური იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საფონდო ბირჟების სავაჭრო სისტემაში არსებული მონაცემების საფუძველზე.

თავი IV

ანგარიშგების ვებგვერდი

მუხლი 19. წარდგენილი ინფორმაციის გამოქვეყნება

1. სამსახური სუბიექტების მიერ ამ წესის შესაბამისად წარდგენილ ინფორმაციას აქვეყნებს მათი წარდგენიდან 1 თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით.

2. ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არ ქვეყნდება.

3. თუ ამ წესის მე-20 მუხლის შესაბამისად სამსახურმა დაადგინა ხარვეზი სუბიექტის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დენა ჩერდება. აღნიშნული ვადის დენა განახლდება სუბიექტის მიერ ხარვეზის აღმოფხვრისა და ანგარიშგების სამსახურისთვის ხელახლა წარდგენისთანავე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად. პორტალზე განთავსებული ინფორმაციის გასაცნობად დაინტერესებულმა პირმა უნდა გაიაროს პირველადი რეგისტრაცია და ავტორიზაცია.

6. პორტალზე გამოქვეყნებული ანგარიშგებების სისრულეზე, სისწორესა და სამართლიანობაზე, აგრეთვე ამ წესის მე-9, მე-11 და მე-14 მუხლების შესაბამისად სუბიექტის მიერ მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხს აგებს სუბიექტი. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ წარდგენილი ანგარიშგებების გამოქვეყნებასა და გადამოწმებაზე ამ წესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 20. სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიშგებების გადამოწმება

1. სამსახური უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე.

2. სამსახური უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან სუბიექტის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი სუბიექტის მიერ წარდგენილ ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაში და სუბიექტს მოსთხოვოს წარდგენილ ან გამოქვეყნებულ ანგარიშგებებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. ხარვეზის შესახებ სუბიექტს ეცნობება ვებგვერდზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე. სამსახური სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ხარვეზის აღმოფხვრის სირთულის გათვალისწინებით, განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ოდენობით.

3. სუბიექტი ვალდებულია ვებგვერდზე აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ხარვეზი და ხელახლა წარადგინოს ანგარიშგება. ამ შემთხვევაში ამ წესის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დენა თავიდან დაიწყება.

4. თუ სუბიექტი ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, არააუდიტირებული ანგარიშგების წარდგენის შემთხვევაში, სამსახური სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა უგზავნის მას შეტყობინებას ვებგვერდზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოსადგენად დამატებით ვადას

განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სუბიექტის მიერ წარდგენილი ანგარიშგება უკვე გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, ანგარიშგების ხელახლა წარდგენისას ვებგვერდზე ხელმისაწვდომია როგორც თავდაპირველად, ასევე ხელახლა ატვირთული ანგარიშგებები.

მუხლი 21. პორტალზე ინფორმაციის ძიება

1. დაინტერესებული პირი სუბიექტის გვერდს მოიძიებს სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომრის/პირადი ნომრის ან სახელწოდების/საფირმო სახელწოდების მითითებით.

2. მომხმარებელს შეუძლია დეტალური ძიების მეშვეობით მიუთითოს ერთი ან რამდენიმე პარამეტრი: სუბიექტის სამართლებრივი ფორმა, ზომითი კატეგორია, სდპ-ის სტატუსი, ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის სახე და საანგარიშგებო პერიოდის დასრულების წელი.

მუხლი 22. მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგების მოთხოვნა

1. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ვებგვერდზე ელექტრონულად მოითხოვოს მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე წვდომა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს სუბიექტის ანგარიშგების გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირის (შემდგომ - პასუხისმგებელი პირი) მობილური ტელეფონის ნომერი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი მობილური ტელეფონის ნომერზე მიიღებს ერთჯერად კოდს. იგი უფლებამოსილია აღნიშნული კოდი გადასცეს დაინტერესებულ პირს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კოდის ვებგვერდზე შეყვანის შემდეგ დაინტერესებული პირი მიიღებს წვდომას მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე.

5. მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიერ წარდგენილი ინფორმაცია, ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, გადაეცემა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს.